

სასოფლო გაზეთი

სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

ზენით ტფილისში	მათაზენელთა:
გარეშე ადგილებში:	მან.
თის წლისა — 4 მან.	— 3
ფურის წლისა — 3 —	— 2
ის თვისა — 1 მ. 50 კ.	— 1 მ.

გეორგი წალიძალი

მამოდის შაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთაძის სახლში, პოლიციის გვერდით. ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ Тифлисъ, въ контору редакцїи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографїи Меликова и К-и.

შველ გვარი განცხადებანი სასოფლო სახამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კაპ. სტამბაში.

№ 15. შაბათი.

II.

9 აგვისტოს 1869 წ.

რედაქცია უმოკრძალოდ სთხოვს იმ წლის — მომავალს, რომელთაც აქამდე გაზეთის ფული არ შემოუბრუნიათ, და გამოგზავნონ ის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის სახელზე.

შინაარსი:

რედაქციის განცხადება. — ძორცხვანდენ-სოფ. ხაშვიდან. — სამეცნიერო ნაწილი. — მეურნეო ცნობები. — სასარგებლო და მავნებელი ცხოველები. — მდაბიო ხალხის განაღდებაზე და აღზრდაზე. — საექიმო ცნობები. — და სხვა ამბავი. — ლექსები. — შოჩბა — ტელეგრაფი. — ბიბლიოგრაფიული ცნობა.

ძორცხვანდენის სოფ. ხაშვიდან.

მსოფლიო წელიწადი მიდის, რაც ხაშვილები ულის მოსავალს ემდურებიან. — ღვინის მოსავალი შარშანაც ძრიელ სუსტი იყო და, რაც იგივეა, ისიც მკვავე და ფერმკრთალი დადგა; აქრის შიშით, როგორც აქ ამბობენ, სოფლის მცხოვრებლებმა ძრიელად — დამწიფების უმალ — დაკრიფეს შარშან ყურძენი რედაქციის გასულის მაგიერ, დაკრიფეს სეტყვების შუაში). ამ წელს ჯერ ღვინისა და აგრეთვე აბრეშუმის მოსავლის დიდი იმედი იქნებოდა, მაგრამ პურის მოსავალს კი ძალიან ემდურებიან, რადგან თითქმის არც ერთს დაჯანში არ მოსულა ორი, თუ სამი თვის საყრდენი მეტი. მხლავე აპირებენ შეუდგენ ორნის ძიებას, რომ ზამთარში გამოიტანონ ამავე რიგით თავი. უწინ სესხულობდნ ფულს და მამულისა და მოსავლის იმედი ჰქო-

ნდათ; ეხლა, ღვინის მოსავალმა თუ არ უშველა, ცუდად იქნება ამათი საქმე. — როგორც ამ სოფლისა, საზოგადოთ სხვა სოფლების ესრეთი ზარალისაგან, რასაკვირველია, დააკლდება თვით ქლაქებაც და შემძლებლებსაც, რადგანაც, ცხადია, რომ სიმდიდრე სოფლისა არის წყარო ქლაქების სიმდიდრისა. — რუსის ანდაზაა, რომ ყოველ ცუდს საქმეში სიკეთე მოიხანებო; იქნება, ღმერთმა ქნას, და ამ პურისა და ღვინის ნაკლებობაში ჩვენში სიკეთე მოიტანოს. ხანდისხან ხალხის დაღარბება არის მიზეზი და დამბადებელი სხვა და სხვა საცხოვრებელი სახსრების მოქებისა. რასაკვირველია ჩვენ აქ იმას არ ვამბობთ, მითომ პურის, ან ღვინის მოუსვლელობა და ქვეყნის დაზარალება სასარგებლო იყოს ყველასთვის და ყოველთვის; არა, ჩვენ გვსურს ვსთქვათ, რომ თუ ზეგარდამო მანგებითა მოხდება ეს ზარალი, მაშინ კაცი იძულებული იქნება მოიპოვოს ისეთი ხელოვნებითი ღონისძიება, რომელმანც ამ ცუდი მოსავლის დროს შეეწიოს იმას.

ჩვენ მიმართულნი ვართ მხოლოდ მიწის მუშაობაზედ; მაგრამ, საუბედუროთ, იმასაც ვერ ვასრულებთ ისე, როგორც რიგია; გუთნისა, ბარის, თოხის და ნიჩბის მეტს არაფერს სამეურნეო იარაღს ჩვენ არა ვხმარობთ; — მიწის ამუშავება და ღვინის მოყვანა, რაღა ლაპარაკი უნდა, აუცილებელი საჭიროებაა ჩვენთვის და მე არაფის არ ურჩევ იმას თავი დაანებოს, მაგრამ ისიც უნდა გვეკონდეს სახეში, რომ ღვინისა და პუ-

რის გარდა, სხვა რამეს მოყვანაც შეიძლება ჩვენში; ამიტომაც ვთქვი მე ზევით, რომ იქნება ღვინისა და პურის ნაკლებობამ თავისი სარგებლობა მოგვიტანოს მეთქი; ეს აი როგორ უნდა გაიგოს მკითხველმა; როცა პური, ან სხვა რამ მოსავალი შემოგვადგება, ჩვენ მოვიკიდებთ ხელს ისეთს რასზე სხვა ხელოვნობას, რომელიც პურის ოდენა სარგებლობას მოგვიტანს; და ამ ნაირი ხელოვნება და წარმოება გამოგვადგება ჩვენ ყოველთვის, როცა პურისა, ან ღვინის მოსავალი გვიღალატებს ისე, როგორც ეხლა. — შედურება ეს არის, რომ ჩვენი ქართველი კაცი დარწმუნებულია, რომ პურისა და ღვინის გარდა სასარგებლო მოსავალი არა იქნება რა ჩვენში, ამიტომ ამას ეტანება ამაზედ ათენებს და აღამებს ის დღესა; სანამ ჩვენ ამ ნაირათ ვფიქრობთ, ჩემი აზრით, ზედი ზედ ღვინისა და პურის მოსავლის ნაკლებობა ცოტა არ იყოს სარგებლობას მოგვიტანს.

მაგალითად, მე მგონია, ურიგობა არ იქნება, რომ უფრო მომატებულს ყურადღებას მივაქცივდეთ ჩვენ აბრეშუმის მოყვანას, რადგან ჩვენში, ღვინის მადლით, თუთა ძალიან ბევრია, და აბრეშუმსაც კარგი ფასი ადევს.

შარშან აქ ხაშვიში ენახე, რომ ზოგ-ზოგი სახლებში ეწყობოთ ლასტები და მოშენებული ჰყვანდათ აბრეშუმის ქაი*). მითო სახლში

*) ჩემდა სასიკვდილოდ უნდა ვთქვა, რომ მე მამდის არ მენახა აბრეშუმის კეთება; თუმც ჩვენი მ-

ქონდათ ხუთი, ან ექვსი ლასტი აბრეშუმის ქიები—იმდენი, რამდენიც თითონ ოჯახისთვის საკმარო იყო. მე მგონია, ძალიან სასარგებლო იქმნებოდა, რომ სოფლის მცხოვრებნი, განსაკუთრებით დედაკაცები და ქალები, უფრო მუყაითათ და მარჯვეთ მოჰკიდებდნენ აბრეშუმის მოყვანას ხელს და ამ რიგათ მისცემდნენ შემწევობას თავის ქმრებსა და ძმებს, რომლებიც ნასესხი ფულებით მიდიან სხვა სოფლებში პურის სასყიდლათ; მე დარწმუნებული ვარ თითქმის, რომ ეს შრომა ტყუილი და უსარგებლო შრომა არ იქნება, რადგან აბრეშუმის მოყვანა მაინცა და მაინც ძნელი არ არის და ფასი კი კარგი ადევს. სოფლათ იყიდება ის ეხლა, თუ კი იშოვება საღმე, ძრიელ იაფათ, ასე რომ მე თვითონ ვნახე, რომ ოთხი კვერცხი რვა აბაზათ გაიყიდა; საზოგადოთ კვერცხი აბრეშუმის ორ აბაზზე ხან ცოტა მეტათ იყიდება და ხან ცოტა ნაკლებათ. ეს სიაფე ნიშნავს, რომ იმის კეთებას ბევრი შრომა არ უნდება.— მოსკოვში იყიდება ეხლა ნუხის აბრეშუმი ორას ოცი მანეთიდან ორას ორმოცამდი, ასე რომ გირვანქა ოთხი და ათი შაურიდან ექვს მანეთამდი გადის, წარმოიდგინეთ ეხლა, როგორ გაგვიმართავდა ხელს ჩვენ ამისთანა ძვირფასი ნივთის მოყვანა და გაყიდვა!

ივანე ბერძნოვი

სოფ. ხაში

1869 წ. ივლისი.

ს ა მ ე ს ნ ი ა რ ო ნ ა წ ი ლ ი.

მ ა რ ს კ ე ლ ა ე ე ბ ი.

ჩვენ რომ ზეცაში პატარ-პატარა, სანთელივით, ვარსკვლავებს ვხედავთ, ისინი ზოგი ბევრჯელ უფრო დიდრონები არიან, ვიდრე ჩვენი დედა-მიწა; ვარსკვლავებიც ისე იმყოფებიან სოფლის სივრცეში და ზოგი იმათგანიც ისე მოძრაობს და უტრიალებს სხვა ვარსკვლავებს, როგორც მოძრაობენ და უტრიალებენ მზეს ჩვენი დედა-მიწა და სხვა პლანეტები.

რისკენ—ქ. ლუშეთს—ბევრი თუთის ხეებია, მაგრამ იმათგან არაფერი სარგებლობა არ გამოაქვთ.— როცა აქ ვნახე პირველად აბრეშუმის ქია, საყვარლათ დავაქვრდი და გავეკირდი მათს შრომაზედ. მე დიდხანს უყურებდი იმას, თუ როგორ აკეთებდნენ ისინი თავის ბინას და ჩვენთვის კი ძვირფასს აბრეშუმს.—

ნეტები.— ისე პატარაებათ ვარსკვლავები იმიტომ გვეჩვენება, რომ ძალიან მოშორებული არიან ჩვენს; ზოგიერთს ვარსკვლავსა და დედა-მიწის შუა ორი ათასი მილიონი (ორი ბილიონი) ვერსი იქნება, ასე რომ ჩვენ აზრშიაც ვერ წარმოვიდგენთ ამისთანა სიშორეს; ყველამ იცის, რომ შორს მყოფი რომ ნივთი უფრო პატარათ სჩანს, ვიდრე მაშინ, როცა ამავე ნივთს ახლოდან ვხედავთ; მაგალითათ, როცა ათს, თხუთმეტს ვერსზე ტყე იწვის, ან დიდი ცეცხლია გაჩაღებული, ჩვენ გვგონია რომ სანთელი ანთია. თუ ათზე და თხუთმეტს ვერსზე ასე გვატყუებენ ჩვენ თვალები, მილიონზე რაღა იქმნება; ამიტომაცაა, როგორც ზევით ვთქვი, რომ, თუმცა ზოგი ვარსკვლავები მიწის ოდენა და მეტიც არიან, მაგრამ მაინც სიშორისა გამო პატარაებათ გვეჩვენებიან.— ვარსკვლავების სიშორისა და სიდიდისაგან წარმოსდგება აგრეთვე ის, რომ ზოგი უფრო ნათლათ, ბრწყინვალეთ გვეჩვენება და ზოგი კი უფრო ბნელათ, სინათლე მოკლებულათ: შეიძლება პატარა ვარსკვლავი იყოს, მაგრამ, თუ ის ახლოს არის დედამიწაზე, მაშინ, რასაკვირველია, დიდათ მოგვეჩვენება; ისიც შეიძლება, რომ დიდი ვარსკვლავი ძალიან მოშორებული იყოს მიწაზე, მაშინ ის თუმცა დიდი, მაგრამ ჩვენ კი პატარათ გვეჩვენება.—

ზევით ვთქვი, რომ ზოგი ვარსკვლავები მოძრაობენ თქო; ზოგი კი გაჩერებულია ერთს ადგილას; იმისთანა ვარსკვლავებს, რომლებიც მოძრაობენ, ჰქვია სახელათ მოძრავი ვარსკვლავები, ანუ პლანეტები; ესენი უტრიალებენ გარეშემო გაჩერებულ, უძრავ ვარსკვლავებს.— საზე ჩვენ ძალიან ცოტა პლანეტებს ვხედავთ, ამიტომ რომ ისინი პატარაები არიან; თითქმის ყველა ვარსკვლავები, რომლებსაც ჩვენ ვხედავთ ლამე, არიან უძრავები.—

შძრავ ვარსკვლავებს, როგორც მზეს, თავის საკუთარი სინათლე აქვთ; ისინი მიწასავით არ არიან მზისაგან განათლებული. ზოგი რომ ძალიან ბრწყინავს და ზოგი ძლიერს ანათებს ეს, როგორც ზევით ვთქვი, სიშორეზედ არის დამოკიდებული.—

მხლა იქნება მკითხოთ: ვინა და საიდან შეიტყო ეს ამბავი? ამაზე მე გიპასუხებთ, რომ ამ ნაირი ცნობების შეძენისათვის მუშაობდნენ და სცდილობდნენ დიდს ხანს ძალი-

ან ბევრი სწავლულები; რასაკვირველია, თქვენ არ იტყვიან, რომ ისინი ტყუილდენენ იმისთანა კაცები, რომლებმაც გამოიგონეს ტელეგრაფები, რკინის გზები, რომლებმაც ახსნეს წვიმისა, ქარის, თოვლის მიზეზები, იმისთანა კაცები, გეუბნებით, ტყუილს არ იტყვიან და არ მოიგონებენ იმას, რაც თავითვალათ არ უნახავთ და რაც არ გამოუან გარიშებით.— სხვათა შორის სწავლულებმა გააკეთეს ისეთი ღურბინდი, რომლითაც ათასს და ასი ათასს ვერსზე ისე დაინახავ პატარა მემ, როგორც ხელის გულზე; ამ ღურბინდს ტელესკოპი ჰქვია; გამოანგარიშების გარდა, ეს ღურბინდიც ძალიან ეხმარება სწავლულებს ამნაირი ცნობების შეტყობისათვის; ტელესკოპით დაინახეს, რომ მთვარეზე, რომელიც სამას ორმოცდა ათი ათასი ვერსით არის მოშორებული დედა-მიწაზე, არის მთები, ზღვები და სხვა.— მთვარეზე ჩვენ შემდგომში მოგელაპარაკებით.—

ს. მ.

ს ა მ ე უ რ ნ ო უ ც ნ ო ბ ა ვ ი.

ბ ე ლ გ ი ის მ ე უ რ ნ ე ო ბ ა

ბელგია ერთი პატარა, მაგრამ ძალიან მდიდარი სახელმწიფოა მეროპაში; იქაურ მცხოვრებლებს დიდი ვაჭრობა აქვთ გამართული სხვა და სხვა სახელმწიფოებთან. მაგრამ ყველაზე უფრო იმათ აქვთ მიქცეული ყურადღება მიწის ამუშავებაზე და საზოგადოთ მეურნეობაზედ. რადგან იმათ ცოტა მიწები აქვთ, ამიტომ მუდამ ერთსა და იგივე საფანეზე მოჰყავთ ყველაფერი ნამუშევარი. რასაკვირველია, ერთს მიწაზე, შეუსვენებლათ, არ მოვა ნამუშევარი, თუ დრო გამოშვებით სასუქი არ დააყარა იმას კაცმა; ამიტომაც ბელგიელები ძალიან ძვირათ აფასებენ ყოველგვარ სასუქსა; იქ ძალიან ბევრი ისეთი ვაჭრები არიან, რომლებიც მარტო ნებებით და კაცის სასუქით ვაჭრობენ და კიდევაც ბევრი გამდიდრებულა ამ ნაირი ვაჭრობით; ქალაქებში და სოფლებში თქვენ ნახავთ ხშირათ კარგათ, წმინდათ ჩაცმულს ქალებს, რომლებიც დაიარებიან ქუჩებზე და მინდერებში, კალათით ხელში და ცხენის, ან სხვა რამ საქონლის ნებებს ჰკრეფენ და მიაქვთ შინ. მართი ნემეცი იწერება: „მე შემხვდა გზაზე ცხვრის ფარა, რომელსაც უკან მიხდევდა კალათიანი ქალი და ჰკრეფდა“



ცხვრების ნეხვს; ეს ნეხვი წაიღო იმან ქალაქში და გირვანქობით გაყიდა. ღაბერებულს და უვარგისს პირუტყვს, ცხენს მაგ. წაიყენებენ ხოლმე საყანვეზე, დაჰკლავენ და სისხლს (რომელიც კარგი სასუქია) დაასხმენ აქა-იქ; აგრეთვე დაჰჭრიან ამ პირუტყვს და პატარ-პატარა ხორცის ნაჭრებსაც საყანვეებზე მოაყრიან სასუქის მაგიერათ. ასე დახედეთ, მტრედის და სხვა ფრინველების განავალსაც უყრიან თავს და სასუქათ ხმარობენ.—ის გლეხი, რომელსაც ცუდათ ამუშავებული ყანები აქვს, ისე ეზარებათ იქ, რომ, ამბობენ, იმასთან სხვები პურსაც არა სჭამენო; ეს იმიტომ არის, რომ ტყუილა—მჭმელი და ზარმაცი, რომელიც თვითონ ვერ ირჩენს თავის თავსა და ოჯახს, რასაკვირველია, სოფელს დაწვება სარჩინათ. მაზაფხულზე დიდი და პატარა, ქალი და ვაჟი ყველა გამოდის ხოლმე ყანებში სამარგლავათ და სანამ კარგათ არ გაწმენდენ ყანებს და მანებელ ბალახებს არ მოაშორებენ ნამუშევარს, მანამ თავს არ დაანებებენ.—

ზერმანიაში ზოგან კარტოფილის ღერსა და ფოთლებს აჭმევენ ხოლმე ენლა პირუტყვეებს; მაგრამ ძალიან დამწიფებული კარტოფილის ღერები და ფოთლები, თუ ყვითელია, და არა მწვანე, კი არ ვარგა.—ამბობენ, რომ ეს ისე მარგებელია პირუტყვისთვის, როგორც იონჯაო.

იმისთვის რომ საძოვარ ადგილებზე ცხვრები არ შეაწუხონ სხვა და სხვა მკბენარა ბუჩქებმა, ურჩევენ კუპრის წასმას ტყავზე, თუ ცხვარს სქელი და მაგარი ბალანი აქვს და, თუ ნაზი, მაშინ თევზის ქონი მოუხდება. მკობის მოცილება თუ გინდათ, უნდა გაკრიკოთ ცხვარი, ან თუ გაკრეჭა არ გინდათ, დაბანეთ რამდენჯერმე თამბაქოს ნახარშ წყალში.—

ზამოცდილი შეოჯახებები ამბობენ, რომ კარტო მწვანე იონჯა პირუტყვს არ უნდა სჭამოთ, თორემ ის გახდება და ვედარც ბევრ რძეს მოიწველისო; იმათი სიტყვით, მწვანე იონჯაში ყოველთვის ცოტა ბზე უნდა იყოს გარეული; ამ ნაირათ შერეული ბზე და იონჯა ძალიან არგებს პირუტყვს და ბევრს რძესაც დაუყენებს.—

მის მოსკოვის გაზეთში სწერენ: აქ შესდგა ფულიანი კაცების საზოგადოება, რომელსაც უნდა შეიძინოს ძავეკაზში ადგილები და ამუშაოს ისინი სხვა და სხვა საფაბრიკო მასალების მოსაყენათ. ამ საზოგადოებას შეუყრია კადევაც იმდენი ფულისთვის თავი, რომელიც საკმაოა კარგა ძალი და საუკეთესო ადგილების საყიდლათ.—

ს ა ს ა რ გ ა მ ლ ო დ ა მ ა ვ ნ ე მ ე ლ ი ც ხ ო ვ ე ლ ა ბ ი . გ ვ ე ლ ა ბ ი დ ა ბ ა ჯ ა ყ მ ბ ი .

„თუმც ათასი გველი და ბაყაყი მკავები მე ხელში, ამბობს გამოჩენილი ნემცების სწავლული—შოხტი, მაგრამ ყოველთვის, როცა რომელიმე ამ გვარი ცხოველი მიეკარება ხოლმე ჩემს სხეულს, რაღაც ზიზლი მომდის, ტანში ქრუალი გამივლის და უსიამოვნობას ვგრძობ“. მართლათ გასაკვირველი არ არის, რომ ყოველ ხალხს ეზიზლება და ეშინიან კიდევაც ზოგიერთი ამგვარი ცხოველებისა; ეს ზიზლი წარმოსდგება იმისაგან, რომ ისინი მძორივით ცივები არიან და რაღაც უსიამოვნო სისველეს გრძობს კაცი ხელის მოკიდების დროს. შიშიც, რასაკვირველია, ხანდისხან უსაფუძვლო არ არის; ამაზე დაგვერწმუნება ჩვენ ყველა, ვისაც გველის ნაკბენი კაცი, ან სხვა ცხოველი უნახ-ეს; მე ვთქვი, რომ შიში „ხანდისხან“ არ არის უსაფუძვლო თქო; უფრო ხშირთ კი ჩვენში იმისთანა გველების და ბაყაყებისაც ეშინიანთ, რომელთაც არაფერი ვნება არ შეუძლიანთ; სარგებლობა კი ბევრი. საზოგადოთ ჩვენში ძალიან შხამიანი არც გველები და არც სხვა ცხოველებია; შენიშნულია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც უფრო ცხელი ჰაერია, უფრო მომატებული და უფრო გესლიანი ცხოველები ცხოვრობენ; მაგალითად, სამხრეთის ამერიკაში, სადაც ძალიან ცხელია, ერთი ისეთი მშიშინა გველია, რომლის კბენა ხუთს წამში მოკლავს კაცს; ამას გარდა იქ სხვა შხამიანი გველებიცა და მორიელელებიც ბევრია. იქ არის ერთი იმოდენა და ისე ძლიერი გველი, რომ ხბოს თავისუფლათ ჰყლაპავს ხოლმე; ეს გველი შევა ხეზედ და, თუ იქ გაიარა იმ დროს ხბომ, ცხვარმა, ან თხამ, დაეცემა თავზე, ტანზე შემოეხვევა და ჯერ დაუმტვრევს ძელებს და მერე მთლათ გარდაჰყლაპს ეს; გაძდება თუ არა,

წაგორდება იქვე და რამდენიმე წამს—ველარ გაინძრევა სიმძიმისაგან; ამ დროს დაეცემიან იმას იქაური მცხოვრებლები, დაუწყებენ ცემას დიდრონი სარებით და ამ რიგათ ჰკლავენ.—

შხამიან გველს, თუ კარგათ დააკვირდა კაცი, გარეგანი შეხედულობითაც შეეტყობა: თვლების ზევით, ზედ თავზე ამნაირ გველს აქვს ორს ადგილას რქებივით ამოწეული ხორცი; ეს საშხამო ბუშტებია; ამ ბუშტებში კეთდება შხამი და აქედან წერილი ღარებით მიდის კბილებისკენ. მასლიან გველს აქვს ორი ისისთანა კბილი ზედა ყბაში, რომლებიც შუაში გახვრეტილები არიან, ასე რომ კბენის დროს შხანი ბუშტებიდან ამ ღარიან კბილებში ჩამოდის და კბილებიდან კი ჩადის იმის ხორცში, ვისაც გველმა უკბინა. აი რანაირათ იკბინება გველი; ჩვენში კი გონიანთ—ვითომ ის თავის ორათ გაყოფილი ენით იკბინებოდეს; ეს ტყუილია. სწავლულებმა გამოსცადეს, რომ გველისა და სხვა ცხოველების გესლი მხოლოთ მაშინ აწეებს კაცს, როცა სისხლში შევა; ერთმა სწავლულმა მოუყარა გველის შხამს თავი და დალია, მაგრამ სრულებით ვერაფერი წყენა ვერ შეიტყო; ეს ამიტომ, რომ შხამი კუჭიდან სისხლში ვერ გარდადის. მქიმები ამბობენ, რომ გველის ნაკბენი ადგილი რომ იმწამსვე ამოსწოვოს კაცმა, შხამი ვეღარ შევა სისხლშიო და ამის გამო კბენა ვერაფერს ვნებას ვერ მოიტანსო; ამოწოვის დროს კი ფრთხილათ უნდა იყოს კაცი: ამოსწოვოს თუ არა, იმ წამსვე უნდა გააფურთხოს და თუ ღრძილებიდან სისხლი გამოდის ან ტუჩები დაჭრილი აქვს, მაშინ კი შხამის ამოწოვა გველის ნაკბენიდან საშიშოა; ვინც მოითმენს, ამოწოვის მაგიერათ, შეიძლება ამოიჭრას კარგა ღრმით ნაკბენი ადგილი, სანამ შხამი სისხლში შევიდოდეს; რასაკვირველია, ამის მოთმენა სჯობია ძალიან ავთამყოფობასა და, შეიძლება, სიკვდილსაც; ამას გარდა ნაკბენი ადგილის ზევით კარგა მაგრა უნდა შემოიჭიროთ რამე, იმისთვის რომ დაშხამული სისხლი უეცრათ არ ავარდეს ზევით, ტანში და არ გააფუჯოს მთელი ტანის სისხლიცა. მს სუყველაფერი იმწამსვე უნდა მოიფიქროს და ქნას გველის ნაკბენმა, თორემ, თუ ხანი გავიდა და გესლი სისხლში გაერცვლდა, მერე ძნელია იქნება ავთამყოფის მორჩენა.—



ამ შხამიან გველებს გარდა, სხვები სრულებით არ არიან საშიშორნი და არც მანებელნი; იმ გველებმა, რომელთაც დახვრეტილი კბილები არა აქვთ, კიდევაც რომ უკბინოს კაცს, ვერას დააკლებენ, ამიტომ რომ იმათ არც შხამი აქვთ.—

ის პატარა ხელიკები, რომლებიც ჩვენში ცხოვრობენ, თითქმის სრულებით არ არიან კაცისათვის მანებელი, იმიტომ რომ ყველა ისინი უგესლო ცხოველები არიან; ერთი იმათგანი ძლოკი, ანუ გველ-ხოკერა, თითქმის მარგებელიც არის კაცისათვის; ამიტომაც ძალიან კარგია, რომ იმერეთში არასოდეს ხელს არ ახლებენ და ცოდვითაც მიაჩნიათ იმის მოკვლა; თუმც, რასაკვირველია, ძლოკვი გველსა არა სჭამს, როგორც იმერეთში ჰფიქრობენ, მაგრამ ის მით არის სასარგებლო, რომ ჰხოცავს და სჭამს ურიცხვ კიბებს, ბუზანკლებს და მინდვრის ლოკოკინებს, რომლებიც ძალიან აფუჭებენ ჩვენ ბოსტნებსა და ყანებს.—

„მე რამდენიმე ათი ძლოკვი გამიჭრია, ამბობს შოხტი, და იმათ სტომაქში არასოდეს ლოკოკინებისა, სხვა და სხვა ნაირი ჭიებისა და ბუზანკლების მეტი არა მინახავს რა; იმ ბოსტანში, რომელშიაც ძლოკეები არიან, დამერწმუნეთ, ორჯელ უფრო მეტი მწვანელი მოვა, ვიდრე იმაში, სადაც ისინი არ ბუდობენ.—ამიტომაც მე ყველა მეოჯახეს ურჩევ, ღვენის მაგიერათ, ეცადოს რომ გამრავლდნ მისს ბოსტანში და ყანაში ძლოკეები.“—ჩვენში ძლოკვი, მგონია, გველათ მიაჩნიათ; გველი და ხელიკი გარეგანი შეხედულობითაც ადვილი გამოასაცნობია ერთმანეთში, რადგან გველს ფეხები არ ახია და ხელიკს კი თითქმის ყოველთვის; ძლოკვი ერთი იმისთანა ხელიკია, რომელსაც, თუმც პატარა ფეხის ძელები აქვს, მაგრამ გარედნ კი თითონ ფეხები არა სჩანან. ამას გარდა რომელიმე გველსა და ხელიკს რომ ტყავი გააძროთ და მათი ძელები დაიკავოთ ხელში, თქვენ იმ წამსვე შენიშნავთ, რომ გველს ქვევითა ყბის ორი ძელი არა აქვს ერთმანეთზე მიხრდილი და ამიტომაც იმას შეუძლია ძალიან ფართოთ ხახის გაღება, და ხელიკსა კი ეს ძელები ყოველთვის მიხრდილი აქვს ერთმანეთზე; ძლოკეს ორი ქვევითა ყბის ძელები მიხრდილი აქვს ერთათ.—

თითქმის ყველაგვარი ბაყაყები სასარგებლო ცხოველები არიან კაცისთვის: არც მინდვრის ბაყაყი, არც ხისა, არც მყვარი და არც ჯოჯო სრულებით მანებელი არ არიან. საზოგადოთ ყველა ესენი სჭამენ ბუზებს, კიბებს და ლოკოკინებს.

ჯოჯო (სალამანდრა) ხელიკსა ჰგავს, მომგრგვალეული ბოლო აქვს და ტბებში ცხოვრობს; იმას გამოდის ტყავიდან ძალიან ბევრი სისველე, ქაფით, ასე რომ ცეცხლში რომ ჩააგდო ამ სისველს გამო რამდენიმე ხანს არ დაიწვება. ძველებულ დროში ეგონათ რომ სალამანდრას ცეცხლი არასოდეს არ მიეკარებოა, რაც გინდა დიდ ცეცხლში ჩააგდო, მინც არ დაიწვებაო; ვინც ქალაქებში ყოფილა, ნახავდა, რომ ზოგიერთ სახლებზე თუნუქის ფიცარია მიკრული და ზედ ამ ფიცარზე აწერია „სალამანდრა“; ეს სახელი ამ ცხოველიდან არის წარმომდგარი: ეს იმას ნიშნავს, რომ როგორც სალამანდრა არ დაიწვება, ისე არც ეს სახლი დაიწვებაო; სახლს, რასაკვირველია, მოეკიდება ცეცხლი და კიდევაც დაიწვება, მაგრამ იმ სახლის პატრონს, რომელსაც ამ ნაირათ თუნუქა აკრავს, უნდა მიეცეს სახლის ფასი, რადგან ის ყოველ წელიწადს აძლევს ამ თუნუქის მოძველს რამდენიმე მანეთს, ან თუმანს.—

მყვარი და ბაყაყი ერთ გვარისა არიან; განსხვავება მდგომარეობს მხოლოთ იმაში, რომ მყვარს კბილები არა აქვს და ბაყაყს კი; ამას გარდა მყვარს ყველა გამოიცინობს სამაგელი ნიორის სუნით, ზნტი მიხრა—მოხრითა და გაბერილობით. მყვარს მუღამ სველი ტყავი აქვს და ცუდი სუნიც ამ სისველიდან უდის; მაგრამ მყვარის ხელის მოკიდება კი თავის ღლეში არ აწვებს კაცს; ეს ტყუილი შიშია. ამას გარდა ჩვენში ეშინიათ კიდევ მყვარის შესხმისა; როცა მყვარს გააგულსებენ, ან ხელს მოკიდებენ, ის გამოასხამს ხოლმე უკანა გასავლიდან რაღასაც წყალსავით; ეს უბრალო წყალია და არა ვითარი გვლის თვისება ამას არა აქვს.—


მყვარის კუჭში ლოკოკინებისა და კიბების მეტს თქვენ ვერას ნახავთ, რომ გაჭრათ ის; მაშასადამე მყვარი სასარგებლო ცხოველი ყოფილა. „ჩემ ბოსტანში, ამბობს შოხტი, ერთი მყვარი დაბუდდა; ის საღამოობით გამოდიოდა ხოლმე თავის ხერედიდან და დაი-

წყებდა ნადირობას ლოკოკინებს და კიბებს; სანამ ის იყო, ჩემ ბოსტანში ერთს ლოკოკინსაც ვერ ნახავდით ვერც კომბოსტოზე და ვერც ფხალზე; მე, რაც შემეძლო, უვლიდი და პატივს ესცემდი იმ მყვარს; ერთხელ დედაკაცს დაენახა ის იქ, რაღაც უბედურათ, და მოეკლა. ამის შემდეგ ისე გამრავლდნ ჩემ ბოსტანში ლოკოკინები, რომ სრულიად შემიჭამეს მწვანელები და ყვავილებიც გააფუჭეს.—მე დარწმუნებული ვარ, რომ მყვარზე უკეთესს ყარაულს მებოსტნე თავის ღლეში ვერ იშოვის“. ანგლიაში მეოჯახებმა მიაქციეს ამ საქმეს ყურადღება და სცდილობენ გამრავლონ მყვარები თავიანთ ბაღებში და ბოსტნებში.—ამბობენ რომ მყვარი ისე მიეჩევა კაცს, როგორც სხვა შინაური ცხოველებიო; აი რა ნაირი შემთხვევაა ერთ წიგნში აწერილი; მართალია ეს ამბავი, თუ ტყუილი, ამისა კი რა მოგახსენოთ: ერთი კაცის სახლში ოცდა ათი წელიწადი მეტი ცხოვრობდა თურმე მყვარი კიბის ქვეშ; ყოველთვის, როცა ამ სახლში მყოფები ეახშმათ დაჯდებოდნ, მყვარი ამოვიდოდა თურმე კიბეზე, მოუდგებოდა გვერდში ძალსა და კატას და შეჩერებოდა პირში ეახშმის მჭამელს; ამით ის ატყობინებდა, რასაკვირველია იმათ, რომ ეახშმის საქმელათ გაახელით და, ცოტა რამეს თუ მიზიარებთ, ძალიან მადლობელი ვიქნებო.—

ს. მ.

რამდენიმე სიტყვა მდაბიო ხალხის აღზდაზე და განათლებაზე.

ჩვენ ყველას გვეხმის, რომ რომელიმე ერთს ბედნიერებისათვის და კეთილდღეობისთვის მდაბიო ხალხის განათლება და ხეირიანი აღზდა აუცილებელი საჭიროებაა. მართმა მწერალმა სთქვა, რომ, „თუ გნებავთ ნამდვილათ გაიგოთ რომელიმე სახელმწიფოს კეთილდღეობა და სიმდიდრე, შედით მდაბიო კაცის სახლში და დახედეთ-როგორც ცხოვრობს ის; თუ მდაბიო ხალხი კარგათ, უნაკლულად ცხოვრობს, მაშინ თქვენ შეგიძლიათ შეუცთომელად თქვათ, რომ ეს სახელმწიფო მდიდარია და განათლებული. შესაძლებელია, რომ რომელიმე ქვეყანაში იყენენ ბევრი მილიონის პატრონები, ბევრი ფაბრიკები, ქარხნები, მარმარილოს სახლები და სხ., მაგრამ



უ ამ დროს მდაბიო ხალხი, რომელიც ყვე-
გან მომატებული ნაწილია, ღარიად ცხო-
რობს და გაუნათლებელი, რასაკვირველია,
შინ მე არ ვიტყვი, რომ იმ ქვეყნის ხალხი
თილდღობდეს. "მგრეთვე განათლება; რაც
ფრო თანასწორათ არის რომელიმე სახელ-
მწიფოში ის გავრცელებული, ისე უფრო გა-
თლებულ სახელმწიფოთ ჩაითვლება ის და
ე უფრო მეტს სარგებლობასაც მოიტანს
განათლება. ჩვენ ვიცით სახელმწიფოები, რომ-
ლებშიაც იყვნენ და არის ეხლაც ბევრი სწა-
ლულები და ფილოსოფოსები, მაგრამ ამ
წავლულებსა და ფილოსოფოსებს ვერ მიუ-
ნათ მდაბიო ხალხისათვის განათლება, კე-
თილდღობა და რიგიანი ცხოვრების საშუა-
ლება, რადგან თითონ საზოგადოებას არ უფ-
ია ამავისთვის ყური და მართებლობაც
რთა უზრუნავს. შრანციაში და ანგლიაშიც
ვენ ვხედავთ ამისთანა მავალითებს. იქ შე-
დებით თქვენ იმისთანა მდიდრებს, რომ-
ებიც წელიწადში ასი ათასობით ჰფანტენ
ბრტო თავის საქეფოთა და იმავე დროს ნა-
ფეთ იმისთანა ღარიბსაც, რომელიც უმიწა-
ყლოთ, უსახლ-სადგურთ, თითქმის შიშვე-
და და მშიერი დაიარება თავის სიცოცხლე-
ში მშვენიერი და მდიდარი ლონდონის, ან
არჩის მალაზიების წინა.—ამ უკანასკნელ
როში ეს სახელმწიფოები მიხედენ, რომ
რველი სახელმწიფოს ძალა მდაბიო ხალხია
და რომ ვერაფერი ვერ მისცემს რომელიმე
ის ეთეს ძალას, როგორსაც მისცემს განა-
თლების გავრცელება ამ მდაბიო ხალხში. წი-
ანდელ „ღროების“ ნომერში მკითხველი
აკითხავდა — როგორ სტდილობენ ანგლია-
ში და რამდენს ხარჯვენ საზოგადოებაცა და
მართებლობაც, რომ მისცენ მუშა ხალხს რი-
იანი სწავლის მიღების ღონისძიება; იქიდან
მეტიყობდა მკითხველი, რომ ყოველწელიწადს
ამდონიმე მილლიონი ფული იხარჯება სა-
ხალხო შკოლებისათვის; ამ ფულების უმე-
ტეს ნაწილს სწირავს ხოლმე თითონ საზო-
ადოება; რასაკვირველია, თუ საჭიროა, მარ-
ებლობაც ძალიან უწყობს ხელს შკოლებ-
ა, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ანგლიელები
ჩვენსავით უზრუნე ლათ არ შეჩერე-
იან თავიანთ განათლების საქმესა; რომელი-
ე კეთილი საზოგადო საქმისათვის იქაური
საზოგადოებაც ისე ზრუნავს, როგორც მარ-
ებლობა.—წინანდელ „ღროების“ ნომერში

ნახავდით, რომ ანგლიის საზოგადოება თით-
ქმის უფრო მეტსაც ზრუნავს და ეწევა სა-
ხალხო შკოლებს, ვიდრე მართებლობა.—
ზევით ვაქვით ჩვენ, რომ შრანციაში და
ანგლიაში, თუმც ბევრი სიმდიდრეა, ბევრი
ფაბრიკები, ქარხნები და სხე., მაგრამ მდიდარ
ქვეყნებათ მაინც არ ჩაირიცხებიან ისინი, რა-
დგან მდაბიო ხალხი არ არის შეძლებული და
განათლებული.—ამის წინააღმდეგ მავალითის
ჩვენ ვხედავთ ამერიკის შეერთებულ შტა-
ტებში, თუმც იქ ვერ ნახავთ, როგორც ანგ-
ლიაში და შრანციაში, იმდენს და ისეთს სწა-
ვლულებს, რომელთაც შესანიშნავი რამ გა-
მოეჩინოსთ მეცნიერებაში; ეს გასაკვირველიც
არ არის: ჯერჯერობით ამერიკელები იმას
სტდილობდნენ, რომ თავის ცხოვრება დაეწ-
ყოთ და ამიტომ ვერ ახერხებდენ მეცნიერე-
ბისათვის შეეწირათ თავი; ეხლა იმათ იმდე-
ნათ გააუმჯობესეს თავიანთ ცხოვრება, და
იმდენი შეძლება აქვთ, რომ შეუძლიანთ შე-
სწირონ თავი მეცნიერების საგნების გამო-
კვლევასაც.—არც სიმდიდრეა იქ რამდენიმე
კაცის ხელში ჩაეარდნილი ისე, როგორც ან-
გლიაში; მაგრამ, რო ნახოთ იქაური ხალხის
ცხოვრება საზოგადოთ, თქვენ დარწმუნდებით,
რომ იმას ლუკმა პურის შოვნა არ უჭირს;
რომელიმე უბრალო კაცს რო დაეღაპარაკოთ,
მაშინვე მიხედებით, რომ ის განათლებული
და ქვეყნის ამავის მცოდნე კაცია. მაჩნ-
დება თუ არა იქ სადმე სოფელი ან ქალაქი,
პირველი მათი ზრუნვა ის არის, რომ სახალ-
ხო შკოლა გამართონ და მისცენ თავიანთ
შვილებს სწავლის ღონისძიება; ხშირათ ათ,
ოც მოსახლიან სოფელში დგას ერთი პაწაწა
სახლი, სადაც ქალები და ვაჟები ერთად და-
იარებიან სასწავლებლათ და სადაც უფრო
დღეა-კაცები ასწავლიან; 1850 წ. მენის
შტატში იყო: მცხოვრებლები — 583,196.


სახალხო შკოლები — — — 4,042.
ამ შკოლების მასწავლებლები — 5,540.
მოსწავლეები — — — 192,815
შკოლების ხარჯი — 315,436 დოლლა-
რი (დოლლარი მანეთი და ხუთი შაურია). მხლა
კი, შკოლების რიცხვი, დარწმუნებული ვარ ორი
ამოდენი უნდა იყოს. აქედან ჩვენ უნდა გამოვი-
ყვანოთ ის, რომ როგორც სიმდიდრე, ისე
განათლებაც ამერიკაში მთელს ხალხშია
გავრცელებული.

ამერიკისა და ანგლიის წაბაძეა; რასაკვირ-
ველია, ჩვენ არ შეგვეფერის; მაგრამ ცო-
ტათი მაინც რო მივაქცევდეთ, ჩვენდა სასარ-
გებლოთ, ამ სახალხო შკოლების საქმეს ყუ-
რადლებას, უეჭველია, ძალიან კარგს ეიზამთ.
მე მგონია, რომ თუ სხვაგან ოცი მოსახლე
კაცი ახერხებს შკოლის შენახვას, ჩვენში ასს,
ორასს მოსახლეს მაინც 'მეუძლია შეერთდეს
ამ საქმისთვის ერთად და პატარა სოფლის
შკოლა გახსნას თავის ხარჯით. ნასწავლი და
გამოცდილი პირების ვალია ითაონ ამ საქმე-
ში და უხელმძღვანელონ ხალხს.

ჩვენ ყველამ ცხადათ ვიცით, რომ დედა-
მიწა გვასმევს, გვაჭმევს და გვაცმევს, რომ ერთი
სიტყვით უმისოთ კაცის სიცოცხლე ყოვე-
ლად შეუძლებელია; ამიტომაც ვეძახით ჩვენ
იმას „დედა-მიწას“; მაგრამ იმისთვის, რომ მი-
წამ რიგიანათ გვაცხოვროს, ჩვენ უნდა დაე-
ღვაროთ მრავალი ოფლი და მოვანმაროთ
იმას ჭკუა და ყოველი ცოდნა და სწავლა.
აქედან ცხადია, რომ ჩვენი ეხლანდელი და
მომავალი კეთილდღეობისათვის ყველაზე უფ-
რო საჭიროა ცოდნის შეძენა; რასაკვირვე-
ლია ამ წაირი მიწის ამუშავეების ცოდნის შე-
ძენა იმათთვის უფრო საჭიროა, ვისაც პირ-
დაპირ ბუნებასთან აქვს საქმე, ე. ი. სოფლის
მეოჯახებისათვის და განსაკუთრებით გლე-
ხები'ათვის. ამიტომაც უმთავრესი ყურადღე-
ბა იმას უნდა მივაქციოთ — თუ რა საშუალე-
ბები არიან გლეხებისათვის ამ ცოდნის გარ-
დასაცემათ. მეც რო არა ვთქვა, ყველა იტყ-
ვის, რომ ეს სახსარი სახალხო შკოლებია; —
სასოფლო შკოლები, მე მგონია, მაგდენ სარ-
გებლობას ვერ მოუტანს ხალხს, თუ რიგიან
ხალხის აღზრდას არ მივაქციეთ ჯეროვანი ყუ-
რადლება.

სანამ ხალხის სწავლაზე ვიტყოდეთ, ქთქვათ
რამდენიმე სიტყვა იმაზე — თუ რა წაირი აღ-
რზდა უნდა მიეცეს ჩვენ ხალხს ეხლანდელ
მდგომარეობაში; ამ საგანზე მოლაპარაკება
მით უფრო საჭიროა, რომ გონიერი აღრზდა
ამზადებს ყმაწვილში ისეთს ნიადაგს, რომელი-
მანც უნდა მოიტანოს შემდეგში სასარგებ-
ლო ნაყოფი.

მე მგონია, არავინ შეშალოც ერთმანერთ-
ში აზრდა და სწავლა, ან განათლება: ყვე-
ლამ ვიცით, რომ შეიძლება კაცი ძალიან კა-
რგი გაზრდილი იყოს, მაგრამ გაუნათლებე-



ლი და უცოდინარო; აგრეთვე შეიძლება, რომ ვინმე ძალიან განათლებული, თითქმის სწავლული იყოს, მაგრამ ამასთან ცუდად გაზრდილიცა. — აზრდის საქმე იმაში მდგომარეობს, რომ გაუხსნას და გაუფარჯიშოს ყმაწვილს ყოველი კეთილი სულიერი ხასიათები (მაგ. კეთილმოყვარეობა, სიმართლე, პატიოსნობა, ჯაფის მოყვარეობა და სხ); მეორეთ, აღზრდა ისეთი უნდა იყოს, რომ ის ამაგრებდეს და ამთვლებდეს კაცის სხეულს; თქმარ უნდა, რომ აღზრდას დიდი გავლენა აქვს მთელს კაცის ცხოვრებაზე; თუ კაცი პატიოსანია, შრომის მოყვარე და სხ. დარწმუნებული იყავით, ის დიდი სწავლულიც რომ არ იყოს, მაინც ბევრს სარგებლობას მოუტანს ქვეყანასა და თავის თავსაც. ამიტომაც საჭიროა, რომ უფრო მომატებული ყურადღება მივაქციოთ დაბადებიდანვე ყმაწვილის აზრდას. — აღზრდა ოჯახის, დედ-მამის საქმეა და არა შკოლისა; შკოლა გარდასცემს ყმაწვილს მარტო ცოდნას, მეცნიერების ჭეშმარიტებებს, უხსნის ჭკუასა; იმის საქმე მარტო ის არის, რომ გარდასცეს მოსწავლეს ისეთი ცოდნა, რომელიც უნდა გამოადგეს იმას ცხოვრებაში; მის ხასიათებს ის სრულებით არ ეხება და კიდევაც რომ შეეხოს, არ შეუძლია გააუმჯობესოს, და გააფარჯიშოს, რადგან შკოლას იმის თავი არა აქვს. — თუ ჩვენი გლეხ კაცების ყმაწვილების აღზრდას არ მიექცა ჯეროვანი ყურადღება, მაშინ საფიქრებელია, რომ მარტო შკოლები ვერ მოიტანენ მაგდენ სარგებლობას. — აი რას ამბობს ამ საგანზე ერთი რუსის მწერალი, რომელიც, თუმცა რუსის გლეხკაცებზე ლაპარაკობს, მაგრამ ეს სრულიათ შეიძლება ჩვენზედაც თქვას კაცმა; „ჩვენ სახალხო შკოლებს იმისთვის კი არ ცნდა ეზრუნათ წინაპირეღწიში, რომ ხალხში წერა-კითხვა გაეცრელებინათ; ისინი უკეთ იქმოდნენ, რომ ჯერ ცდილიყვნენ ხალხის და განსაკუთრებით დედების აღზრდას, რომელთაც შემდეგში შეეძლოთ თავის შეილები თითონვე გამოეზარდათ. ჩემი აზრით ხალხის აზრდა ქალიდან უნდა დაიწყებოდეს. თით ისტორია მოგვითხრობს ჩვენ, რომ საუკეთესო მიმყოლნი ახალი აზრებისა და იმათი (აზრების) მქადაგებელნი იყვნენ ქალები; ავიღოთ მაგალითად ქრისტიანობა; ყველაზე პირველად ქალებმა გაიგეს ძრისტეს სწავლა და ირწმუნეს ის. ეს გასაგებიც არის: უწინ-

დელ დროში ქალი იყო მონა, დამდაბლებული, უძლური; ამიტომაც ის დიდს ყურადღებით ისმენდა ძრისტეს სიტყვას სიყვარულზე, თანასწორობაზე, კეთილგულობაზე; ქალს ესმოდა, რომ ეს ახალი ძრისტეს სარწმუნოება აუმჯობესებს მისს მდგომარეობას, მონასავეთ არ უყურებს იმას; ამიტომაც თავიანთს ცემდენ იმას ქალები; იმათ მიჰყავდათ ძრისტესთან თავიანთი შეილები და აქრისტეანებდნენ თითქმის ქმრებსაც. —

ასე იქნება ყმაწვილების აზრდაშიაც; თუ ქალებს რიგიანათ გაეზრდით და გეანათლებთ, მაშინ დარწმუნებული იყავით, რომ ხალხის ცხოვრების საქმე უკეთ წავა. ძილები ძლიერ კარგათ გაიგებენ, რომ განათლება და აზრდა გააუმჯობესებს მათ ყოფაცხოვრებასა და შეცვლის ეხლანდელ ცოლქმრობითი დამოკიდებულებას და ამიტომ ისინი ეცდებიან, რომ კარგათ გაზარდონ და გაანათლონ თავიანთი შეილები; ამ საქმის ასრულება რომ დედაზე უკეთ არაის შეუძლია, — ეს ჭეშმარიტებაა; მომავალი შთამომავლობის სიკეთე ყოველთვის დედებზედ არის დამოკიდებული. —

შემდეგში ჩვენ მოვილაპარაკებთ იმაზე — თუ რანაირი შკოლები და სწავლა არის ეხლა ყველაზე უფრო საჭირო ჩვენი მდაბიო ხალხისათვის. —

ს ა მ ე ბ ო ს ო ლ ო ბ ა ზ ი

შ ე ც რ ა თ გ ა ჭ ა ლ ა რ ა ე ე ბ ა .

მრთი ინგლისელი ექიმი სწერს: 1859 წ. ინდოეთში, ჩემს იქ ყოფნის დროს, დაიჭირეს ერთი მოჭანყე ინდოელი და წარუდგინეს დასასჯელათ ლენერალს. როცა დაუწყეს ამ ტყვეს ტანისამოსის გახდა, მაშინ მიხვდა, რომ იმის საქმე ცუდათ არის, სხეულმა დაუწყო იმას კანკალი, სახეზე შიში და სასოწარკვეთილება გამოეხატა და ძლიეს ლაპარაკობდა; მერე ნახევარი საათის განმავლობაში სრულებით გაუჭლარდა იმას, ჩვენი თვალის წინ, კუპრით შავი თმა. — პირველათ შენიშნა ეს სალდათმა, რომელიც გვერდში უდგა ტყვეს; იმან უეცრათ დაიყვირა: შეხედეთ, თმა უთეთრდება! ჩვენ მივიხედეთ და მართლა ვატყობდით, რომ ტყვე თან და თან ჭლარავდებოდა, ასე რომ ნახევარი საათის განმავლობაში იმას ერთი შავი თმა აღარ დარჩენია. —

ს ის ს ლ ის შ ე ს ა ჩ ი ა ე ბ ე ლ ი წ ა მ ა ლ ი .

ძალიან ხშირათ ცხვირის წინა გვაქვს რომელიმე უბრალო წამალი, და ჩვენ კი ცხვირით მთას გარდაღმა ვეძებთ და ბევრ ფულსაც ვხარჯავთ. მაგალითათ სისხლის დენის შესაჩერებელი წამალი ჩვენში, მგონია, არ იციან; აქამდე არც აქიმებმა იცოდნენ ნამდვილი საშუალება სისხლის შეჩერებისთვის მხლა გაზეთში „შინაური მქიმი“ სწერენ რომ სისხლის შეჩერებისათვის ნამდვილი საშუალება ჯინჭრის წვენიანა; ერთს ორმოცდ ექვსი წლის ქალს ქონდა შეუჩერებელი სისხლის დენა საშვილოსნოდან და ჭინჭრის წვენის მეტი არაფერი არ მოეხმარა და ვერ შეაჩერა სისხლით. აგრეთვე ბევრ სხვა შემთხვევებშიაც უხმარიათ ეს საშუალება სისხლის დენის დროს და ყოველთვის სასარგებლოთ გამოდგარა. — ავთომყოფს უნდა დააღვიწიონ დღეში თითო სტოლის კოვზი ჯინჭრის წვენი, სანამ არ შეუჩერდება სისხლის დენა; თუმცა ჯინჭარი შხამიანია, მაგრამ ამ წვენს არა აქვს კაცის აგებულებაზე მავნებელი ზედმოქმედება; ის მხოლოთ ან უეცრათა და ან ცოტა ცოტათი შეაჩერებს სისხლის დენასა. —

იქნება ჭინჭრის წვენი უხდებოდეს აგრეთვე ცხვირიდან სისხლის დენის და ბუასილის გამო სისხლის ყვანის დროსაც, მაგრამ ამ შემთხვევებში ის არ არის ჯერ გამოცდილი. — მხოლოთ პროფესორი ტერი სწერს, რომ ერთი ყმაწვილი კაცი, რომელიც სისხლს აფურთხებდა, ჭინჭრის წვენმა მოარჩინა. —

ძ ე ვ რ ც ხ ის შ ე ნ ა ხ ვ ა .

შველამ იცის, რომ ქათმის და სხვა ყველაფრის კვერცხი ჰხდება, თუ დიდხანს არას შენახული; ის ასუნდება, გალაცდება, — როგორც ჩვენში ამბობენ. მისაც უნდა ზამთრისთვის შეინახოს კარგათ კვერცხები, იმან უნდა გამოხვიოს ისინი დიკა პურის მარცვალში ამნაირათ: აიღე კოდი, ან სხვა რამ კოლოფით და ჩაყარე შიგ ჯერ იმდენი დიკა პური, რომ კვერცხი დაიმალოს; მერე ჩააწყვე იმაში კვერცხები ისე, რომ ბოლო ძირს ჰქონდეს; შემდეგ კიდევ უნდა ჩაჰყარო დიკა და შიგ მეორე წყობა კვერცხები და ამ რიგათ სულ, სანამ არ აიესება. ამ რიგათ შენახული კვერცხები 18 თვემდე სძლებს წაუხდენლად; ასე რომ წლისა და ნახევრის შე-

დგ თქვენ შეგიძლიათ სჭამოთ ეს კვერცხე-
ნი და, იმედი უნდა გქონდესთ, რომ არც
უნი ედინება და არც გაწყენთ.—მს საშუა-
რება ძალიან ადვილი და უბრალოა, მაგრამ
ბედურება ის არის, რომ ჩვენში დიკა—ჰუ-
ნი ძალიან ცოტა მოჰყავთ.—ზოგან დიკა-
ურის მაგიერათ ნაცარში ხევევენ კვერცხებსა,
მაგრამ ოთხი, ან ხუთი თვის შემდეგ ისინი
დებიან და აღარ ვარგან საქმელათ.—

ამ სასწავლებელში, როგორც ზევით ვთქვით,
სულ მოზრდილები იყვნენ, ასე რომ 4 კაცი
23 წლისა იყო, 3—30 წლისა, 3—40 წლ.
და სხვა ორი 45 წლისა.—რამდენიმე თვის
განმავლობაში ამათ ჩინებულათ ისწავლეს
წერა-კითხვა და რიცხვი და შემდეგ ისინი და-
ითხოვეს; ესლა იმათ მაგიერათ სხვებს იღებენ
შკოლაში და იმათაც ისე ასწავლიან და მერე
გაუშვებენ.—რ-ლა ლაპარაკი უნდა, რომ მდა-
ბიო ხალხს, რომელსაც უმაღლესი სწავლის
მიღება ძნელათ შეუძლია სიღარიბისაგამო,
წერა-კითხვის სწავლაც დიდს სარგებლობას
მოუტანს, ნამეტურ თუ ამ სწავლის მიღები-
სთვის იმას არც ბევრი დრო ეკარგება და
არც ფული. ზემოხსენებულ შკოლაში ასწავ-
ლიან საღამოს შვიდი საათიდან ვიდრე ცხრა-
მდი.—ამას გარდა ეს მაგალითი გემტკიცებს
ჩვენ იმას, რომ სწავლა ყოველთვის შეუძლია
მიიღოს კაცმა; ჩვენ ხშირათ გაგიგონია ჯერ
უმაწვილი კაცებისაგან,—რა დროს ჩემი სწავ-
ლაა, აგერ ოცი წლისა შევიქმნებო; ვისაც
სწავლის ხალისი და სურვილი აქვს, ის, რა-
საკვირველია, თავის დღეში არ შეხვდავს
ხნიანობას.

მოსკოვში არის, როგორც „Современныя
Извѣстия“ში სწერენ, „საზოგადოება, ძალღე-
ბის ქურდებისა“, ამ საზოგადოებას ჰყავს
თურმე თავის აგენტები ყველა მოსკოვის ნა-
წილებში; ამ ხელობას, როგორც სწერენ,
კარგი სარგებლობა მოაქვს; ამ საზოგადოების
დირექტორს აქვს თურმე ამ ნაირი ხელობით
შეძენილი საკუთარი სახლი მოსკოვში; ის არ
მალავს თავის ხელობას, ამიტომ რომ თით-
ქმის არა სდევნიან ძალღის ქურდობისათვის.
ისინი იპარავენ საუკეთესო ჯინშის ძაღლებს
და გზავნიან გასაყიდლათ სხვა და სხვა ქალა-
ქებში, უფრო მომატებული ნაწილი კი პე-
ტერბურღში მიჰყავთ. იმათ აქეთ დანიშნუ-
ლი ერთი ადგილი, საცა ყოველი წვერი უნ-
და მივიდეს ხოლმე კვირაობით დანიშნულს
დროზე; იქ ლაპარაკობენ და სჯიან ძაღლების
მოპარვაზე. **მ**თუ ვისმე ძაღლი დაეკარგა, უნ-
და მიჰპართოს იმათ და ჰკითხოს-ხომ არა
ჰყავთ ამა და ამ ნაირი ძაღლი? იმწამ-
სვე ერთი ამათგანი გაგისმობთ თქვენ ცალ-
კე და გეტყვით: „რამდენს მომცემთ, რომ მო-
გიყვანოთ?“ როცა შეიტყობს თქვენგან პი-
რობებს, წაგიყვანთ რომელიმე დუქანში, გა-

მოგართმევთ ქაღალდს რომ „თუ ესა და ეს
კაცი (სახელი იმისი) მომიყვანს ამა და ამ ნა-
ირ ჩემს ძაღლს, რომელიც მე დაგეარგე, ვალ-
დებულნი ვარ მივსცე იმას ამდენი (რიცხვი)
მან. და ამის შემდეგ მომიყვანს არაფერი და-
ვა არ გაუწიო“. მეორე ან მესამე დღეს, და-
რწმუნებული იყავით, რომ ეს კაცი ძაღლს
მოგიყვანთ; თქვენც, რასაკვირველია, იმის
მადლობელი, რომ, ძაღლი მოგპარა, პირო-
ბისა მებრ უნდა მისცეთ, რაც ერგება.—

შინაგანი ცნობები.

ზორიდან.

30 ივლისს. ზახშირებული წვიმები წელს
ემოდგომაზე კარგი პურისა და ყურძნის მო-
ხელის იმედს აძლევდა ზორის უფზდის
კბორებლებს; მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ,
მ წვიმების შემდეგ იყო საშინელი სეტყვა,
რომელმანც ძრიელ ბევრი პური გააფუჭა ძა-
ვისხეში, ახალქალაქში, ღასში და სხვა ახ-
ლო—მახლო სოფლებში, აგრეთვე შართლის
რდილოსაკენ. სეტყვის შემდეგ გვალვამ სულ
მოულო აქაურ ყანებსა. ამის გამო
ური ეხლავე გაძივდა, ასე რომ კოდს პურს
მან. ნაკლებ და ქერს 2 მან. და 40 კაბ.
კლებ ვერ იშოვით; რალა თქმა უნდა—
ღვის შემდეგ ფასი კიდევ უფრო მოიმა-
ნებს.—საკვირველია, რომ სარწყავ ადგილებ-
ე უფრო ცუდი პურის მოსავალი იყო, ვიდ-
ე ურწყავზე; რუისში ზოგიერთ გლეხებმა
ითო სარწყავი დღიურიდან მოიწიეს მარტო
რ-ოლი კოდი პური, ე. ი. თითქმის იმდენი,
ამდენიც დათესილი იყო. ხილის მოსავალი
კარგია; ყურძნისასაც კარგს მოელოან.

ამ გაჭირებაში, მგონი, ჩვენს უფზდს ძა-
ნიან მოეხმარება სიმინდი, რომლითაც იკვე-
ბა თითქმის მთელი ჩვენი გლეხკაცობა, რა-
გან პურს ისინი ჰყიდიან ვალებისა და ხარ-
ის გარდასახდელათ.

სხვა და სხვა ამბავი.

ღიდი ხანი არ არის რაც გახსნეს პეტერ-
ბურღში საღამოს შკოლა მოზილი
შუა-კაცებისათვის. პირველათ ამ შკოლაში
წავლობდა თორმეტი კაცი; იმათ შორის
ოთხი ქალი იყო: ორი მზარეული და ორი
კერვალი. დანარჩენ რვა კაცში სამი ვაჭარი
რია, სამი მოხელე კაცები და ორი ოღაბაში.

ღამურა.

(პრაკი)

შრინველთ და ოთხფეხთ პირუტყვთა
მრთხელ დიდი ომი ჰქონდათ,—
ჰგლეჯდნენ ერთმანერთს უწყალოდ,
წამსაც არ სდგებოდნენ მშვიდათ.
ხან ოთხფეხნი პირუტყვები,
ხან ფრინველები ამარცხებენ,
ხან ერთნი გამარჯვებასა,
ხან მეორენი ხდილობენ.
ღამურა ცრუ და პირმოთენ
მის შორიდგანა უუტრებს;
ხან ეკედლება ფრინველებსა,
ხან მიუდგება პირუტყვებს.
შრინველები დამარცხებენ
ღამურა მათთანა ხარობს,
მთხეფთა მასხარათ იგდებს,
მათს ნაკლულევენობას მოსთხრობს.
„შინ მოვა მამაც ფრინველებთან,
ჰაერში მოცურავენთან,
მძღავრ ფრთიან და გონივრებთან,
მრთის ლექსით, ყოველით სრულთან?..“

პირუტყვნი გაიმარჯვებენ,
მსწრაფლ ჩაერევა ამათში,
იცინის და რახრახებს—
შრინველებსა ურევს ტალახში...
„შანა გმირთა—მძღავროვანთა
შრთიანნი უნდა ედარნენ?!
შანა მათ კბილთა აღმასთა
სუსტის ნისკარტებით დახვდნენ?!“



საქანცულ-დაწყვეტილებამ
 მრთავ მხარემ გარდასწყვიტეს:
 შერიგდნენ, ჩხუბი ამოსაონ,
 ნუღარ მიხედვენ უწინდელს.
 მაშინ ცხადათა გამოჩნდა
 ლამურას პირმოთენობა,
 სისპაგლე სიავკაც
 და ყოველი ზოროტება....

— მრთვე მხარე აღიხსნენ
 ქეთილოზილურ ზიზღითა
 ლამურაზედ—პირმოთენებდა
 აღავსეს იგი ფურთხიძეა...
 —
 ზანადეს თვისგან ორგული
 აღარც ერთი არ იკარებს.
 შერცხენილი, საძაგელი
 მეღარ იხილავს დღეს და მზეს...

—
 ლამე თავს გამოჰყოფს კარში,
 რომ შიმშილით არ მოკვდეს,
 მაგრამ მაშინაც შიშითა
 მრთის და გული კანკალებს:
 —
 ძათას უბრძანეს პირუტყვთა
 და ფრინველთა ბაიყუსა
 შრჩხილს და კბილს არ იშურებდნენ —
 სად მოასწრონ ლამურასა... —

—
 მკითხველნო, ვგონებ, რომ ვაძენათ
 მრთხიან ცხოველებშია,
 იქნება კიდევ ვაზოვთ
 ლამურა ორი—სამია....
 ზ. ხითაროვი.

საგაჭრო ცნობანი.

შვირილისა და თბილისის შუა რკინის გზის რკინის ხიდების გასამართათ არის საჭირო 240,000 ფუთი სიმძიმის გადატანა. სხვა და სხვა ხიდების იარაღების ზიდვა თავის დანიშნულს ადგილამდინ უნდა დაიწყოს ამ წლის ოქტომბრიდან და ყოველთვე უნდა მიიტანებოდეს 40,000 ფუთი.

იმ ნიეთებისათვის, რომელნიც ასს ფუთ-ზედ მძიმე იქნება სახელმწიფო ურმები მიეცემათ.

მისაც ამ პოდრადის აღება ჰსურს, იმან თავისი განცხადება უნდა გაგზავნოს ზაკავკაზის რკინის გზების მუშაობის მეუფროსესთან შუთაისში.

მთავარ სამართველოს უფროსის ნებადართვით ძავეკაზის აქეთა მხრის სახაზინო პალატაში 19 აგვისტოსთვის დანიშნულია ვაჭრობა მოლითის, ხარაგაულის, შვირილისა და სიმონეთის სტანციების შეკეთებაზე. პოდრადის ფასი 3,879 მან. და 43 კაპეიკია.

ვაჭრობაში გარევის მსურველმა აღრევე უნდა შეიტანოს პალატაში თხოვნა და პოდრადის მესამედი-ბეთ, რომ დროზე მოასწრონ მათი გაშინჯვა.

პირობაები და სმეტა პოდრადისა მსურველს შეუძლია ნახოს ძავეკაზის აქეთა მხრის პალატაში.

ძავეკაზის აქეთა მხრის პრიკაზის გადაწყვეტილებით, მელაგის, მზურგეთის და ლუშეთის უფზდის სამმართველოებში 20 ამ წლის ოქტომბერს იქმნება ვაჭრობა იმ მამულების გასასყიდათ, რომელნიც ეკუთვნის ქვემო მოხსენებულ პირებს; მამულები იყიდებიან პრიკაზის ვალში. 1) მელაგის მოქალაქეს ალექსანდრე ანტონის ძეს შახახოვს 1863 წ. 2,000 მანეთში დაგირავებულია ვენახი სოფელს რუისპირს. 2) მამული პორუჩიკის თავ. ალექსი ღავითის შვილის მაჭუტაძისა 1860 წ. 10-ათას მანეთში დაგირავებულია მზურგეთის უფზდში, სოფელს ნიგოეთში, ჰყოლოგარში და, მუხუთში.—3) თავ. ღავით ზურაბის ის ხიმშიევისა 1865 წ. 1,200 მანეთში დაგირავებულია ვენახი ლუშეთის უფზ. სოფ. ბულაქურში.—

ქიდვის მსურველს შეუძლია მივიდეს ზემომოხსენებულ უფზდის სამმართველოებში და ნახოს ამ საქმეების შესახები ქალღლები და სიები.—

ფოტა

თბილისიდან ფოტა მიდის: ორ შაბათობით მრევანში და ჯულფისაკენ.—სამ-

შაბათობით ბაქოს გუბერნიის დეპუტემახაში—მსუბუქი ფოტა.—მრთვე მხარეს ბით რუსეთში, შუთაისში—შოთამდინ, მრევანში, ალექსანდროპოლში და ნოვობაიაზეთში.—ხუთ შაბათობით — რუსეთში.—პარასკეობით — შუთაისში, ძანეთში და მრევანში. შაბათობით—რუსეთში და შემახაში.—ძვირაობით რუსეთში და შუთაისში.

ბელგრაფი.

ღებვის გასაგზავნი ფასი თბილისიდან: შუთაისში, ბაქოს, მლადიკავკასს, მრპირს, შოთს, მრევანს, ახალციხეს, ნუხას, შემახიას—1 მან.. ასტრახანს, შერჩში, მოსკოვს და მდესსას—2 მან.—ბორს, სილნალს—50 კაპ.—პეტერბურლს, შენეეას, სტამბოლს—3 მან.—პარიჟს, ლიონს, მარსელს—3 მან. და 38 კაპ.—

საგოზლიოგრაფიო ცნობა.

ახალად დაბეჭდილი პეტერბურლში თ. ილ. შაექაძის მოთხრობა

„ქასია-ალაშიანი“

მიღებულია ჩვენში და იყიდება შემდგომ ქალაქებში:

- თბილისში—მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ჭებუთოვის სახლებში.
 - შუთაისში—უ. ბერასიმე ძალანდარი-შვილთან.
 - ბორში—უ. ძრისტეფორე მამაცაშვილთან.
 - ახალციხეში—უ. სტეფანე ბეთანოვთან.
 - მზურგეთში—უ. მიხეილ შიქოძესთან.
- ფასი ათი შაურია

იგავება

პეტერბურლში და ამ ახლო ხანში გამოცემოთხრობა დ. შონქაძისა

„სურამის ციხე“;

აგრეთვე რუსთველის პოეტრათი, ფლადზედ მოჭრილი სამზღვარს გარეთ.—